ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ქ. ხ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - მ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.09.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: № 073/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით (შემდგომში „დებულება“) გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 15 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. ხ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მეუღლის, ი. კ.-ის ინტერესებს, წინასწარ გამოძიებაში იცავდა მისი ბავშობის მეგობარი, ადვოკატი თ. ფ.. ქ. ხ.-ის განცხადებით, ადვოკატმა თ. ფ.-მ, ი. კ.-ის დაკავებამდე 2–3 კვირით ადრე საჩივარი (განცხადება) შეიტანა საქართველოს მთავარ

პროკურატურაში, სადაც იგი მიუთითებდა, რომ თითქოს ი. კ. თანამდებობის პირებს, კერძოდ, ქალაქის პროკურატურის მაღალჩინოსნებს აძლევდა ქრთამს იმ მიზნით, რომ გაფორმებულიყო საპროცესო გარიგებები გარკვეულ საქმეებზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატი თ. ფ. პროკურატურაში მივიდა ვაკე - საბურთალოს ერთ-ერთი განყოფილების უფროსთან, ნ. ს.-სთან. აღნიშნულის შეტყობის შემდეგ, მომჩივანმა დაურეკა თ. ფ.-ს და მან სატელეფონო საუბარში აღიარა, რომ მან მართლაც განახორციელა საჩივარში მითითებული გარემოება, რაც ქ. ხ.-ს ტელეფონზე აქვს დაფიქსირებული.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ფ., მიუხედავად იმისა, რომ ცილისმწამებლური საჩივარი ჰქონდა შეტანილი ი. კ.-ის მიმართ და გაუთქმელობის ხელწერილი ჰქონდა დაწერილი, მაინც დათანხმდა მისი ინტერესების დაცვას.

1.5 საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის სხდომაზე გამოცხადდნენ საჩივრის ავტორი ქ. ხ. და მისი წარმომადგენელი, ადვოკატი მ. ნ.. საჩივრის ავტორის მხარემ იშუამდგომლა მეხსიერების ბარათის წარმოდგენის და მისი საქმის მასალებისათვის დართვის თაობაზე. მათი განცხადებით, მეხსიერების ბარათზე არსებობს ქ. ხ.-ისა და თ. ფ.-ის საუბრის აუდიო ჩანაწერი, სადაც თ. ფ. აღიარებს, რომ ჰქონდა გაუთქმელობის ხელწერილი და გამოკითხვის ოქმი შეავსებინეს პროკურატურაში ი. კ.-ის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ გახდა მისი ადვოკატი. კოლეგიამ განუმარტა საჩივრის ავტორს და მის წარმომადგენელს, რომ, ვინაიდან დაფიქსირებული არ იყო მეორე მხარის თანხმობა ჩაწერაზე, ამ სახის აუდიო ჩანაწერი ვერ იქნებოდა დაშვებული მტკიცებულებად დებულების 17.3 მუხლის საფუძველზე, რის შემდეგაც საჩივრის ავტორის მხარემ მოხსნა აღნიშნული შუამდგომლობა.

1.6 საჩივრის ავტორის მხარემ დააყენა დამატებით ორი შუამდგომლობა საპროცესო კოლეგიის წინაშე, კერძოდ: საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილი იქნას ინფორმაცია, არის თუ არა თ. ფ.-ის საჩივარი შესული მთავარ პროკურატურაში ი. კ.-ის მიმართ, რა სახის და რას ითხოვდა იგი ამ საჩივარში. ასევე, გამოთხოვილ იქნას ინფორმაცია, დაიკითხა თუ არა თ. ფ. ი. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეში, მოწმის სახით. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, თუ დადასტურდება, რომ ი. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეში მოწმის სტატუსით დაიკითხა თ. ფ., მას უკვე ექნება კონკრეტული სტატუსი ამ საქმეში და არ შეიძლება იგი შემდგომ ჩართულიყო, როგორც ადვოკატი. არ აქვს მნიშვნელობა, რა სახის ჩვენება იყო მიცემული მის მიერ. ინფორმაცია, რომ თ. ფ. მოწმის სახით იყო დაკითხული ამ საქმეზე, საჩივრის ავტორის მხარისათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი - მხოლოდ მას შემდეგ, რაც ი. კ.-სა და თ. ფ.-ს შორის დაიწყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ეს რომ სცოდნოდა კლიენტს, არ ექნებოდა ნდობა და არ შეთანხმდებოდა მასთან. ასევე, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მოსაზრებით, არაეთიკური ქმედებაა,

რომ თ. ფ. ი. კ.-ს სთხოვდა დახმარებას. მან მიაწოდა ინფორმაცია მესამე პირს, რომ ვერ ახდენდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და სთხოვა დახმარება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ფ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა- განმარტება წარმოადგინა 2017 წლის 03 ოქტომბერს. ადვოკატის განცხადებით, ქ. ხ.-ის საჩივარში მოყვანილი გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს. ადვოკატი ადასტურებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ქ. ხ. და მისი მეუღლე - ი. კ., იყვნენ მისი მეგობრები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი 2016 წელს სააპელაციო სასამართლოში იცავდა ვინმე რ. ა.-ის ინტერესებს. თ. ფ.-მ ინფორმაცია მიაწოდა ი. კ.-ს, რომ სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, მაგრამ ადვოკატმა თ. ფ.-მ არ იცოდა როგორ დაეთანხმებინა პროკურატურა აღნიშნულზე, ვინაიდან ყველა მისი წინადადება უარყოფილ იქნა. ი. კ.-მ განუცხადა თ. ფ.-ს, რომ მას შეეძლო საპროცესო შეთანხმების გაფორმება და, აქედან გამომდინარე, თ. ფ.-მ შეახვედრა ი. კ. ბრალდებულის დედას, მ. დ.-ს. ისინი შეთანხმდნენ გარკვეულ ჰონორარზე. თ. ფ.-ის განმარტებით, მან იცოდა, რომ ი. კ. იყო მოქმედი ადვოკატი.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ი. კ.-მ ვერ შეძლო საპროცესო შეთანხმების გაფორმების უზრუნველყოფა, რის გამოც მ. დ.მ შეიტანა საჩივარი მთავარ პროკურატურაში და თ. ფ. დაიბარეს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით. მან ჩვენებაში დააფიქსირა, რომ რ. ა.-ის საქმესთან დაკავშირებით კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით, ამ პერიოდში იგი არ იცავდა ი. კ.-ის ინტერესებს, მისი განცხადებით, ი. კ.-მ დაუბრუნა თანხა მ. დ.-ს და საქმის წარმოება შეწყდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, როდესაც დააკავეს ი. კ., მისმა მეუღლემ სთხოვა მოენახულებინა იგი პენიტენციურ დაწესებულებაში და მათი ურთიერთობა ამით შემოიფარგლა.

2.5 ადვოკატი ადასტურებს რომ იყო მისული ვაკე - საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილესთან, ნ. ს.-სთან პირადი საქმის გამო, ვინაიდან მასთან აკავშირებს დიდი ხნის მეგობრობა.

3. კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები

3.1 დებულების 27-ე მუხლის საფუძველზე საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა საჩივრისა ავტორის შუამდგომლობა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ინფორმაციის გამოთხოვასთან მიმართებით. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ, 2018 წლის 19 თებერვალს მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას შემდეგი ინფორმაციის მიღების მიზნით: „არის თუ არა გენერალურ ინსპექციაში ადვოკატ თ. ფ.-ის საჩივარი შეტანილი ი. კ.-ის

მიმართ. თუ კი, რა არის თ. ფ.-ის მოთხოვნა; ადვოკატი თ. ფ. ი. კ.-ის საქმეში დაკითხულია თუ არა მოწმის სახით. თუ კი, გთხოვთ მოგვაწოდოთ მისი მოწმის სახით დაკითხვის ოქმი.“ დამატებით, კომისიამ ამავე წლის 02 მარტს, პროკურატურას მიაწოდა ი. კ.-ის იმ სისხლის სამართლის საქმის ნომერი, სადაც მის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი თ. ფ. - №.

3.2 საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ეთიკის კომისიას 2018 წლის 16 მარტს წერილობით აცნობა რომ „ი. კ.-ის ბრალდების სისხლის სამართლის № საქმეში თ. ფ.-ს ი. კ.-ის მიმართ საჩივრით, ან განცხადებით, არ მოუმართავს. ასევე, იგი არ არის გამოკითხული აღნიშნულ საქმეში.“

3.3 ეთიკის კომისიამ, საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2018 წლის 4 აპრილს კვლავ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას განცხადებით, სადაც მიუთითა ადვოკატ თ. ფ.-ს კომისიისთვის მიცემულ განმატებაზე, რომ ჩვენება მისცა რ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეზე 2017 წელს. შედეგად კომისიამ გამოითხოვა თ. ფ.-ის გამოკითხვის ოქმი.

3.4 აღნიშნულის პასუხად, მთავარი პროკურატურის 2018 წლის 19 აპრილის პასუხში აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე“ პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობას ეთიკის კომისიას მიაწოდოს მოთხოვნილი დოკუმენტი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი თ. ფ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

4.2 ქ. ხ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 15 სექტემბერს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წლიდან 2017 წლის 15 სექტემბრამდე. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური

პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი თ. ფ., მიუხედავად იმისა, რომ მას ცილისმწამებლური საჩივარი ჰქონდა შეტანილი ი. კ.-ის მიმართ და გაუთქმელობის ხელწერილი ჰქონდა დაწერილი, მაინც დათანხმდა მისი ინტერესების დაცვას. ასევე, იგი ი. კ.-ის საქმეში დაიკითხა მოწმის სახით, ხოლო შემდეგ საქმეში ჩართული იყო, როგორც მისი ადვოკატი.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

6.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“

6.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მესამე პუნქტი: ,,დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.“

6.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №026/11, დაადგინა: „ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელსაც უკავშირდება მის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება (მოსამართლის, პროკურორის და ა.შ) და კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე.“

6.4 დებულების 30.1 მუხლის შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით ან ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის” (აპეკ) ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა. შესაბამისად დისციპლინური დევნის აღსაძრავად, კუმულატიურად დაკმაყოფილებული უნდა იყოს ორი წინაპირობა:

ა) ადვოკატის ქმედება მისი დამტკიცების შემთხვევაში იყო დისციპლინური დარღვევა, და

ბ) საპროცესო კოლეგიას უნდა შეექმნას ვარაუდი, რომ ადვოკატმა ეს ქმედება ჩაიდინა.

6.5 საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. ამ შემთხვევაში დგინდება ადვოკატის მირ დისციპლინური ქმედების ჩადენა ან არ ჩადენა და მიიღება გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მიუხედავად საპროცესო ეტაპზე არსებული მტკიცების შედარებით დაბალი სტანდარტისა, დისციპლინური დევნის აღძვრისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ვარაუდი და ეს ვარაუდი უნდა იყოს დასაბუთებული.

6.6 კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე ან აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია. დებულების მე-19 მუხლიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, შესაბამისად ის უნდა იყოს დასაბუთებული. გამდინარე აქედან, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, თუ რატომ ჩათვალა მან სავარაუდოდ ადვოკატის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უნდა იყოს დასაბუთებული.

6.7 საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტის შეფასებისას აღებული უნდა იქნას ის სტანდარტი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ განხილვის ეტაპზე, დებულების 33.3 მუხლის შესაბამისად წარმართული შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში, მხარეს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა დაამტკიცოს მის მიერ წარმოდგენილი პოზიცია. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება, თუ ის არ იქნა კონკრეტულად ან კვალიფიცირებულად შედავებული ადვოკატის მიერ. თუმცა, ხშირად, მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება არ არის საკმარისი, მაგალითად, როდესაც საუბარია თანხის გადახდის ფაქტზე, ან როდესაც საჩივრის ავტორი თავად არ შესწრებია ფაქტს, რომელიც იძლევა ადვოკატის ქმედების დისციპლინურ დარღვევად კლასიფიცირების საშუალებას და მან მხოლოდ ყურმოკრულად იცის აღნიშნულის თაობაზე. ამ შემთხვევაში წარმოსადგენია თუნდაც ერთი მტკიცებულება, რომელიც სარწმუნოდ მიუთითებდა აღნიშნულის თაობაზე. ამ წინაპირობის დაკმაყოფილების გარეშე, დისციპლინური დევნის აღძვრისას, განხილვის ეტაპზე ადვოკატის მიმართ ვერ დადგება დისციპლინური პასუხისმგებლობა, რაც ეწინააღმდეგება სამართალწარმოებაში აღიარებულ ეკონომიურობის პრინციპს.

6.8 ის, რომ ადვოკატსა და ი. კ.ს შორის წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მოცემულ საქმეში, უდავო გარემოებაა. სადავოა, მისცა თუ არა ადვოკატმა ჩვენება სისხლის სამართლის № საქმეში, ან სხვა საქმეში, რომლითაც საფრთხეს შეექმნებოდა მომავალში ი. კ.-ის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. დასაბუთებული ვარაუდის შექმნისთვის, რომ ადვოკატმა მართლაც განახორციელა ეს ქმედება, ვერ იქნება

საკმარისი მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც აღნიშნულს უარყოფს ადვოკატი. ამ შემთხვევაში დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად აუცილებელია წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ადვოკატის მიერ ჩვენების მიცემის ფაქტს ან იმ პირის ჩვენება, რომელიც ესწრებოდა ამ მოქმედებას.

6.9 საპროცესო კოლეგიამდებულებითმინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყო საჩივრის ავტორს საჭირო მტკიცებულებების მოპოვებაში - გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს მთავარმა პროკურატურიდან.

6.10 საქართველოს მთავარმა პროკურატურამ. 2018 წლის 16 მარტის წერილით გამორიცხა შესაძლებლობა, რომ ადვოკატის მომავალი კლიენტის - ი. კ.-ის ბრალდების სისხლის სამართლის № საქმეში ადვოკატი თ. ფ. გამოკითხულია, რითაც გამოირიცხა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ კანონის 8.3 მუხლით აკრძალული ქმედების ჩადენის თაობაზე, თუმცა კომისიამ გააგრძელა კანონის 8.1 მუხლის წინაპირობების კვლევა და დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვა ადვოკატის გამოკითხვის შინაარსზე რ. ა.-ის საქმესთან მიმართებით, მაგრამ მთავარმა პროკურატურამ 2018 წლის 19 აპრილის წერილით უარი განაცხადა გამოკითხვის ოქმის მიწოდებაზე.

6.11 არსებული პირობებში ეთიკის კომისიას ვერ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ქმედების ჩადენის თაობაზე, რაც დისციპლინურ დევნის აღძვრაზე უარის საფუძველია. თუმცა, ამავდროულად, ეთიკის კომისია განუმარტავს საჩივრის ავტორს, რომ მას შეუძლია ახლიდან წარადგინოს საჩივარი, თუ ის მოიპოვებს და დაურთავს საჩივარს შესაბამის მტკიცებულებას, რადგან ეთიკის კომისიას არსებითად საკითხი არ გადაუწყვეტავს მხარეთა შორის, ამიტომ, ამ პირობებში, არ იარსებებს დებულების 9.(ვ) მუხლით დადგენილი საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30.1 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №073/17 ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/